N587 2015 წლის 19 ნოემბერი ქ. თბილისი

„სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 ივნისის №394 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ,,სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 ივნისის №394 დადგენილებაში (www. matsne.gov. ge, 17/06/2014, 120340000.10.003.018014) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული №1 დანართის მე-8 ჯგუფის მე-7 პუნქტის შენიშვნის „ბ.ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ.ა) ქვემოთ ჩამოთვლილ ნივთიერებებზე, თუ ეს ნივთიერებები არ არის ნარევი ან ნაერთი ამ ჯგუფის პირველი პუნქტით განსაზღვრულ „ენერგეტიკულ მასალასთან“ ან ამ ჯგუფის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ ფხვნილოვან ლითონებთან:“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**